



ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება #035/10

1. ფაქტები

ადვოკატი აწარმოებდა მომჩივნის ორ საქმეს 2008 წლის დეკემბრიდან და ვერც ერთ საქმეზე ვერ იქნა აღმოფხვრილი სარჩელის წარმოებაში მიღების დამაბრკოლებელი გარემოებები, რის გამოც სარჩელი წარმოებაში არ იქნა მიღებული. სასამართლოს განჩინებით მხარეს ბაჟის სახით განესაზღვრა 185 ლარის გადახდა. ადვოკატს ჰქონდა მცდელობა შეემცირებინა სასამართლო ხარჯი კლიენტისათვის და ამის გამო არ გადაიხდა ბაჟი, მაგრამ ხარვეზის განმეორებით დადგენის შემდეგ, ადვოკატმა არ გამოიყენა კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობა განჩინებით დადგენილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

2. პროცესუალური ისტორია

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ნ.გ-მ ადვოკატ თ.გ-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით. საპროცესო კოლეგიამ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატ თ.გ.-ს მიმართ. კოლეგიამ განმარტა, რომ განსახილველ საქმეში ადვოკატ თ.გ.-ს მიერ სავარაუდოდ დარღვეული იქნა ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლი.

3. სამართლებრივი ანალიზი

წარმოადგენდა თუ არა ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები კვალიფიციურს და კეთილსინდისიერს კლიენტის ინტერესების მიზნებისათვის? ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.

ადვოკატს ჰქონდა მცდელობა შეემცირებინა სასამართლო ხარჯი კლიენტისათვის და ამის გამო არ გადაიხდა ბაჟი, მტკიცებულების სახით წარადგინა განხილვის კოლეგიის სხდომაზე ნ.გ-ს სოციალურად დაუცველის მოწმობა, მაგრამ ხარვეზის განმეორებით დადგენის შემდეგ, ადვოკატმა არ გამოიყენა კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობა განჩინებით დადგენილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად. საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა არ ნიშნავს კლიენტის მხოლოდ ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით, მათ შორის მოამზადოს საქმე სასამართლოში წარსადგენად და მოიპოვოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება ამ სახის მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენისათვის. ადვოკატის მიერ, განჩინებით დადგენილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად, კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობის არ გამოყენება, ეთიკის კომისიის მიერ შეფასდა არაკვალიფიციურ და არაკეთილსინდისიერ მომსახურებად.

ჩაითვლება თუ არა ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები კლიენტისათვის ინფორმაციის სრულყოფილად მიწოდებად? მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.

ადვოკატის ქმედებებმა, მის მიერ კლიენტის არასრულყოფილმა ინფორმირებამ, ზოგჯერ კი კლიენტისათვის ინფორმაციის დროულად მიუწოდებლობამ, საქმეთა წარმოებამ, ადვოკატთან დასაკავშირებლად კლიენტის არაერთმა წარუმატებელმა მცდელობამ, გონივრულ ფარგლებში

© ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
იურიდიული ეთიკის მიმართულება
© ზაურ ხარატი



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

NEW VISION
UNIVERSITY

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

წარმოშვა მომჩივანის ეჭვი ადოკატისადმი ნდობის თვალსაზრისით. ადოკატსა და კლიენტს შორის საადოკატო მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულება, სანოტარო ფორმით გაცემული რწმუნებულება და საადოკატო მომსახურებისათვის – კონკრეტული დავალების შესრულებისათვის მიღებული ანაზღაურება ავალდებულებს ადოკატს საქმიანობის განხორციელებისას იხელმძღვანელოს მისდამი კლიენტის ნდობის, კლიენტის ინტერესთა პრიორიტეტულობის პრინციპებით. ეთიკის კომისიის შეფასებით, ადოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები არ შეფასდა კლიენტისათვის საქმესთან დაკავშირებულ გარემოებებზე ინფორმაციის სრულყოფილ მიწოდებად.

ადოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა გაფრთხილება.